ამიერკავკასიის ფრონტის წითელარმიული გაზეთი

Красноармейская газета Закавказского фронта «Боец РККА» на грузинском языке

სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!

მებრძოლი

მუშურ-გლეხური წითელი არმიის

კვირა 20 მაისი 1945 წ. № 60 (320)

ლენინ-სტალინის პარტია ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია

ჩვენი გამარჯვების ზეიმის სახელოვან დღეებში საბჭოთა ადამიანების გული აღსავსეა უღრმესი მადლობით ბოლშევიკების დიადი პარტიისადმი, ლენინ-სტალინის პარტიისადმი. მის ხელმძღვანელობას უნდა უმადლოდეს ჩვენი ქვეყანა ისტორიულ გამარჯვებებს დაძაბულ და ძნელ ბრძოლაში გერმანიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

სამამულო ომი ჩვენი სრული გამარჯვებით დამთავრდა. ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ თავისი მასშტაბით უმაგალითო ომში გაიმარჯვა საბჭოთა სახელმწიფომ. გერმანიის არმიამ კაპიტულაცია მოახდინა. სასტიკი და ძლიერი მტერი, რომელსაც განზრახული ჰქონდა დაემონებინა და მოესპო ჩვენი ქვეყნის ხალხები, დაჩოქებულია, მიწასთან გასწორებულია. საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების უდიდეს წყაროს წარმოადგენს ბოლშევიკების პარტია. პარტიამ, რომელსაც ამხანაგი სტალინი ხელმძღვანელობს, შეიმუშავა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ხალხის ბრძოლის პროგრამა, მოაწყო ჰიტლერული გერმანიის განადგურება.

ბოლშევიკები აღაფრთოვანებდნენ ხალხს სამშობლოს განთავისუფლების მაღალი იდეით, გერმანული იმპერიალიზმის წინააღმდეგ წმიდა, სამართლიანი ომის იდეით. კომუნისტები პირველნი მიდიოდნენ გმირი წითელი არმიის რიგებში, სახალხო ლაშქრის რაზმებში. ისინი შეადგენდნენ პარტიზანული რაზმების ბირთვს, მტრისაგან იხსნიდნენ საბჭოთა საწარმოებს და ხელმძღვანელობდნენ ახალ ადგილებზე მათს აღორძინებას, ამასთან ყველგან გვიჩვენებდნენ მეუპოვრობის, დისციპლინის, თავდადებული შრომის მაგალითს ომიანობის დროის სიძნელეთა გადალახვაში.

სამამულო ომის წლებში ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელი როლი განუყრელად არის დაკავშირებული მთელ მის წინანდელ საქმიანობასთან. ჩვენმა ხალხმა ომის დღეებშიც ლენინ-სტალინის პარტიას მიანდო თავისი ბედი, იმიტომ, რომ იგი მუდამ მამაცურად და უნარიანად იბრძოდა მშრომელთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის, ხალხის ინტერესებისათვის. პარტიის საუკეთესო შვილები სიცოცხლეს სწირავდნენ ხალხისათვის მეფის რეაქციის წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლაში, სამოქალაქო ომის ბრძოლის ველებზე, გაბედულად და თავდადებულად იბრძოდნენ ჩვენი სამშობლოს ეკონომიური აყვავებისათვის, მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ მისი გადაქცევისათვის. ბოლშევიკური პარტიის ბრძნული პოლიტიკის მეოხებით ჩვენს ქვეყანაში გაიმარჯვა მსოფლიოში ყველაზე მოწინავე სოციალისტურმა წყობილებამ. სოციალისტური წყობილების უპირატესობა ჩვენი გამარჯვების გადამწყვეტი პირობა გახდა.

ამხანაგმა სტალინმა თავის ისტორიულ, ყოველი საბჭოთა ადამიანისათვის სამახსოვრო გამოსვლაში 1941 წლის 3 ივლისს მოუწოდა მილიონობით საბჭოთა ადამიანს მიებაძნათ ბოლშევიკების მაგალითისათვის, რომელთა ძირითად თვისებასაც წარმოადგენს „სიმამაცე, გამბედაობა, უშიშრობა ბრძოლაში, მზადყოფნა იმისათვის, რომ ხალხთან ერთად იბრძოლონ ჩვენი სამშობლოს მტრების წინააღმდეგ". გმირობა ჩვენს ქვეყანაში მასობრივი გახდა. ეს არის ბოლშევიკების პარტიის დიდი დამსახურება.

საბჭოთა პატრიოტების გმირობასა და თავდადებას პარტია აერთებდა მტრის სამხედრო განადგურების მსოფლიოში ყველაზე მაღალ ორგანიზაციასთან. სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების შექმნის, განმტკიცებისა და საბრძოლო მომზადებისათვის პარტიის უდიდეს ღონისძიებათა შედეგად, ჩვენმა სამშობლომ მიიღო პირველხარისხოვანი კადრის არმია, რომელსაც უნარი შესწევს დაიცვას ჩვენი ხალხის დიადი სოციალისტური მონაპოვარნი და უზრუნველყოს საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებრივი ინტერესები. წითელმა არმიამ მტერი დაამარცხა ძლევამოსილი სტალინური სტრატეგიით, დაამარცხა თავისი მხედრული ოსტატობით, თავისი საუცხოო შეიარაღებით.

ჰიტლერულ გერმანიასთან ომში გამარჯვებას საბჭოთა ხალხი უნდა უმადლოდეს ბოლშევიკების პარტიას, პარტიისა და ხალხის ბელადს ამხანაგ სტალინს.

პარტიამ უდიდესი ორგანიზატორული მუშაობა გასწია სამამულო ომის წლებში. მისი ამოცანები განსაზღვრა ამხანაგმა სტალინმა. უნდა „გარდაგვექმნა მთელი ჩვენი მუშაობა საომარ ყაიდაზე, ყველაფერი დაგვემორჩილებინა ფრონტის ინტერესებისა და მტრის განადგურების ორგანიზაციის ამოცანებისათვის".

სამამულო ომმა ისეთი ამოცანები დაუსახა ჩვენს ქვეყანას, რომლებიც მსოფლიოს არც ერთ ქვეყანას არასოდეს არ გადაუწყვეტია. ათასობით ქარხანა გადატანილ იქნა მათი ადგილებიდან, ბოლშევიკები გრანდიოზული მასშტაბის ევაკუაციას ხელმძღვანელობდნენ. ამავე დროს ფართოდ გაჩაღდა ახალი მშენებლობა. ახალი მეტალურგიული ქარხნები, ახალი ბრძმედები აიგო ურალში, ციმბირში, შუა აზიაში. აღმოსავლეთში ამუშავდა ქვანახშირის ასობით ახალ-ახალი შახტი. პარტია დაუღალავად იბრძოდა ენერგეტიკულ სიმძლავრეთა გასადიდებლად.

გიგანტური ორგანიზატორული მუშაობა ჩატარდა სოფლის მეურნეობის დარგშიც. საკოლმეურნეო წყობილების შესანიშნავ უპირატესობაზე დაყრდნობით პარტიამ მოაწყო გმირული შრომა საბჭოთა გლეხობისა, რომელმაც უზრუნველყო არმია და ჩვენი ქვეყანა პურით, ხოლო მრეწველობა ნედლეულით.

ყოველივე ეს ხორციელდებოდა, ცხოვრებაში ტარდებოდა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით. მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია დაუღალავად, უდიდესი პატრიოტული აღფრთოვანებით მუშაობდნენ და დიდ შრომითს გმირობას იჩენდნენ. პარტია წარმართავდა მათს ღონისძიებებს. „პარტიის ორგანიზატორულმა მუშაობამ,—ამბობს ამხანაგი სტალინი,—გააერთიანა და საერთო მიზნისაკენ წარმართა საბჭოთა ადამიანების მთელი ღონისძიებანი, მტრის განადგურების საქმეს დაუმორჩილა მთელი ჩვენი ძალები და საშუალებანი".

ომის მეოთხე წელს ამხანაგმა სტალინმა, შეაფასა რა ამ უდიდესი მუშაობის შედეგები, სთქვა:

„ახლა წითელ არმიას მოეპოვება არა ნაკლები, არამედ მეტი ტანკი, ქვემეხი, თვითმფრინავი, ვიდრე გერმანელთა არმიას. რაც შეეხება ჩვენი საბრძოლო ტექნიკის ხარისხს, ამ მხრივ იგი ბევრად სჯობია მტრის შეიარაღებას".

ჰიტლერულ გერმანიაზე ჩვენი ქვეყნის დიდ ეკონომიურ გამარჯვებას საბჭოთა ხალხი უნდა უმადლოდეს ბოლშევიკების პარტიას, ამხანაგ სტალინს.

ამ შედეგების მიღწევა საბჭოთა ხალხმა შეძლო სოციალისტური წყობილების დიდი უპირატესობის მეოხებით, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების მეოხებით. ომის დღეებში საბჭოთა ხალხმა სრულად იხილა ნაყოფი თავისი შემოქმედებითი მუშაობისა, რომელიც განხორციელებულ იქნა სტალინური ხუთწლედების მანძილზე, მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობის წლებში.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა გერმანელ დამპყრობთაგან ჩვენი მიწაწყლის განთავისუფლება მიმდინარეობდა, პარტიამ ხალხს დაუსახა ახალი დიდი ამოცანა ყოველივე იმის აღდგენისა, რაც ჰიტლერელებმა საბჭოთა ქვეყანაში დაანგრიეს.

პარტია თავის საუკეთესო მუშაკებს გზავნის განთავისუფლებულ ოლქებში. ცნობილია ამ დიდი მუშაობის ნაყოფი. მთელი მსოფლიო განცვიფრებულია საბჭოთა კავშირის ახალი წარმატებით. ხელახლა შენდება ჩვენი საუცხოო დნეპრჰესი. სამრეწველო პროდუქციას იძლევიან დონბასიც, ლენინგრადიც. გერმანელი დამპყრობლების მიერ გაძარცული და დანგრეული მეურნეობა განთავისუფლებული რაიონებისა წარმატებით და სწრაფი აღორძინების პროცესშია.

პარტია შთააგონებდა, აღაფრთოვანებდა საბჭოთა ხალხს ბრძოლისათვის, ბრძოლის ნათელ პერსპექტივებს აძლევდა მშრომელებს, მართლად აშუქებდა სამხედრო და საერთაშორისო ვითარებას, განსაზღვრავდა ხალხის პრაქტიკულ ამოცანებს ომის ყოველ ეტაპზე. იგი არ მალავდა, რომ მტერი ძლიერი იყო, რომ წარმატებებით ყოყოჩობა არ შეიძლება. პარტია მუდამ გვასწავლიდა, რომ გამარჯვება ბრძოლებითა და შრომით მოიპოვება.

ბოლშევიკური პარტიის იდეებმა, ლენინისა და სტალინის იდეებმა გაიმარჯვეს ამ ომში. ჩვენმა ხალხმა გაიმარჯვა იმის მეოხებით, რომ იგი ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს ყველაზე მოწინავე მეცნიერული თეორიით, მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიით. თანამედროვე ომის წლებში მსოფლიოს არც ერთ ხალხს არ ჰქონია ისეთი ნათელი პერსპექტივა, როგორიც საბჭოთა ხალხს გადაუშალა ბოლშევიკურმა პარტიამ. ამხანაგ სტალინის გამოსვლები, ბრძანებები მძლავრი პროჟექტორის კაშკაშა სხივებით ანათებდნენ ჩვენი ქვეყნის გზას, წარმოადგენდნენ გზის მაჩვენებელ ვარსკვლავს მრავალ მილიონობით ადამიანისათვის, რომლებმაც იცოდნენ, თუ როგორ და საით წარემართათ თავიანთი ძალები, რათა მალე მიეღწიათ გამარჯვებისათვის.

ჩვენს ხალხს უდიდესი ძალა შესძინა ჩვენი პარტიის იდეოლოგიამ, ყველა რასისა და ერის თანასწორუფლებიანობის, ხალხთა შორის მეგობრობის იდეოლოგიამ. მან ხელი შეუწყო ყველა მშრომელთა, სსრ კავშირის ყველა ხალხთა დარაზმვას, გახდა მძლავრი და ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმის საფუძველი, მან სრული გამარჯვება მოიპოვა ჰიტლერელთა მხეცურ, კაცთმოძულეობის იდეოლოგიაზე.

მტრის იდეურ განადგურებას ჩვენი ხალხი უნდა უმადლოდეს თავის დიად პარტიას ბოლშევიკებისას, ლენინ-სტალინის პარტიას.

ხალხთა შორის მეგობრობის პოლიტიკამ, რომელსაც საბჭოთა სახელმწიფო ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით ეწევა, გამოიწვია ანტიფაშისტური სახელმწიფოების ძლიერი ბლოკის დარაზმვა, ჰიტლერული გერმანიის საერთაშორისო იზოლაცია. სსრ კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტმა ხელი შეუწყო ჰიტლერულ გერმანიაზე ჩვენი გამარჯვების დაჩქარებას.

საბჭოთა ხალხი პარტიას უნდა უმადლოდეს საბჭოთა საგარეო პოლიტიკის შესანიშნავ გამარჯვებებს. საბჭოთა სახელმწიფოს სწორმა, ბრძნულმა პოლიტიკამ უზრუნველყო მსოფლიოს დიდ დემოკრატიულ სახელმწიფოთა საბრძოლო თანამეგობრობა მათს ბრძოლაში საერთო მტრის — ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ.

დიდ წარმატებებამდე, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების ახალ განმტკიცებამდე მიიყვანა ჩვენი ხალხი ბოლშევიკურმა პარტიამ. მან ამის გაკეთება შესძლო ხალხის მასებთან თავისი ურღვევი კავშირის მეოხებით. „ომის განმავლობაში, — ამბობს ამხანაგი სტალინი,—პარტია კიდევ უფრო შეესისხლხორცა ხალხს, კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა მშრომელთა ფართო მასებს".

უსაზღვროა ხალხის ნდობა და სიყვარული ბოლშევიკური პარტიისადმი. მსოფლიოში არ ყოფილა ხალხთან ესოდენ მახლობელი, მშობლიური პარტია. პარტიის ავტორიტეტმა და გავლენამ თავისი გამოხატულება ჰპოვეს პარტიის რიგების ზრდით. ომის მანძილზე პარტიაში შევიდა მილიონობით მეომარი, მუშა, კოლმეურნე, ინტელიგენტი. 5.700.000-ზე მეტი კაცი ითვლება ამჟამად ჩვენი პარტიის რიგებში! განა ეს საუკეთესოდ არ მოწმობს იმას, რომ ბოლშევიკების პარტია ნამდვილი ხალხური პარტიაა, მრავალმილიონიანი მასების აღიარებული ბელადია!

ხალხის ფიქრი და გრძნობა მიპყრობილია ბოლშევიკური პარტიის დიდი, გენიალური ბელადის — ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის — ამხანაგ სტალინისადმი. სტალინის სახელით აღფრთოვანებულნი მიდიოდნენ ბრძოლაში, ფაშისტთა პოზიციების საიერიშოდ, სტალინგრადის მრისხანე დღეგმირები, დნეპრის გმირები, ბერლინში გამარჯვებულნი. სტალინზე ფიქრობდა ყოველი მუშა, კოლმეურნე, ინტელიგენტი, როცა დაუღალავად მუშაობდა, როცა არ იცოდა, თუ რა იყო დასვენება, რათა მოეახლოებინა სანატრელი ჟამი ჩვენი გამარჯვებისა. და როცა გამარჯვება მოვიდა, როცა ძლევის სალუტთა ზალპებმა დაიქუხეს, მილიონობით ბაგემ წარმოსთქვა საყვარელი სახელი—სტალინი, ვინაიდან სტალინი გამარჯვებას ნიშნავს.

ჩვენ გავიმარჯვეთ დიდ ომში ლენინ-სტალინის სახელოვანი პარტიის ხელმძღვანელობით. პარტიის ხელმძღვანელობით, ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით, შეასრულებს რა მის ბრძნულ წინასწარდასახულობას, საბჭოთა ხალხი უმოკლეს ვადაში მოიშუშებს ომით მიყენებულ ჭრილობებს და მიაღწევს ჩვენი დიდი საბჭოთა სახელმწიფოს სამხედრო-ეკონომიური ძლიერების შემდგომ განმტკიცებას.

„პრავდის" 18 მაისის მოწინავიდან.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოში

ა. ს. შჩერბაკოვის ხსოვნის უკვდავყოფისა და მისი ოჯახის უზრუნველყოფის შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა:

1. დაიდგას ქალაქ მოსკოვში ალექსანდრე სერგის-ძე შჩერბაკოვის ძეგლი.

2. ქალაქ მოსკოვის როსტოკინოს რაიონს ეწოდოს შჩერბაკოვის რაიონი.

3. დაწესდეს ა. ს. შჩერბაკოვის სახელობის შემდეგი სტიპენდიები:

ა) მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში — სამი სტიპენდია, თვითეული 400 მანეთის რაოდენობით, ისტორიული ფაკულტეტის ფრიადოსანი სტუდენტებისათვის;

ბ) ა. ა. ჟდანოვის სახელობის ირკუტსკის სახელმწიფო უნივერსიტეტში—სამი სტიპენდია, თვითეული 400 მანეთის რაოდენობით, ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის ფრიადოსანი სტუდენტებისათვის.

4. მიეცეს ერთდროული დახმარება ამხ. ა. ს. შჩერბაკოვის ცოლს— ვერა კონსტანტინეს-ასულ პესტროუხოვას 200.000 მანეთის და დედას—ალექსანდრა პეტრეს-ასულ შჩერბაკოვას—50.000 მანეთის რაოდენობით.

5. დაენიშნოს პერსონალური პენსია ამხ. ა. ს. შჩერბაკოვის ოჯახს შემდეგი რაოდენობით:

ცოლს—ვერა კონსტანტინეს-ასულ პესტროუხოვას — თვეში 2.000 მანეთი სიცოცხლის განმავლობაში;

შვილებს—ალექსანდრეს, კონსტანტინესა და ივანეს—თვეში 1.000 მანეთი თვითეულს მათ მიერ სწავლის დამთავრებამდე;

დედას—ალექსანდრა პეტრეს-ასულ შჩერბაკოვას—თვეში 700 მანეთი სიცოცხლის განმავლობაში;

დას—კაპიტოლინა სერგის-ასულ ბალუკონისს—თვეში 300 მანეთი სიცოცხლის განმავლობაში.

კომუნისტები ისტორიული სტალინური დოკუმენტების პირველი პროპაგანდისტები არიან

ამხანაგ სტალინის საპირველმაისო ბრძანება და მისი მიმართვა ხალხისადმი უდიდესი ისტორიული დოკუმენტებია, ისინი აჯამებენ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლის შედეგებს.

ამ დოკუმენტების პროპაგანდამ და შესწავლამ უნდა გააცხოველოს და ახალ, მაღალ საფეხურზე აიყვანოს მთელი პარტიულ-პოლიტიკური და სააგიტაციო მუშაობა. ამ დოკუმენტების ყოველი სტრიქონი, ყოველი სიტყვა მოწმობს თავხედ მტერზე ჩვენი გამარჯვების სულის ჩამდგმელის და ორგანიზატორის — ბოლშევიკური პარტიის ძალასა და სიდიადეს, ჩვენი დიდი სამშობლოს ძლიერებას, საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევ მეგობრობას.

დიადი დოკუმენტების პირველი პროპაგანდისტები კომუნისტები უნდა იყვნენ. მაგრამ ამისათვის თვითეულმა მათგანმა ღრმად უნდა შეიგრძნოს ამ დოკუმენტების ძალა, სიდიადე და სიბრძნე, გაიგოს მათი ისტორიული მნიშვნელობა, მათგან გამომდინარე ამოცანების მნიშვნელობა.

ყოველივე ამის შესახებ ლაპარაკობდნენ ჩვენი ნაწილის კომუნისტები პარტიულ კრებაზე, რომელიც მიეძღვნა პარტიულ ორგანიზაციის ამოცანებს სტალინური დოკუმენტების შესწავლისა და შესრულების საქმეში. კომუნისტებს შემოჰქონდათ კონკრეტული წინადადებანი, ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ აზრებს იმის შესახებ, თუ როგორ მოეწყოთ უფრო უკეთესად სტალინური დოკუმენტების შესწავლა და პროპაგანდა, მათგან გამომდინარე ამოცანების შესრულება.

მაგალითად, კომუნისტმა ტამარკინამ წინადადება შემოიტანა ხშირად ჩატარდეს კომუნისტებთან და უპარტიო ამხანაგებთან საუბრები და ლექციები პარტიის, სსრ კავშირის ხალხთა დიადი მეგობრობის, ჩვენი გამარჯვების წყაროების შესახებ. მთელი ეს მუშაობა, — განაცხადა ამხ. ტამარკინამ, — უნდა ჩატარდეს როგორც რუსულ, ისე სომხურ, ქართულ და სხვა ენაზე, რათა არარუსი ეროვნების ამხანაგები არ დარჩნენ საუბრების გარეშე.

ამხ. ტამარკინამ წინადადება შემოიტანა აგრეთვე, რომ სტალინური დოკუმენტების შემსწავლელთა დახმარების მიზნით გაკეთდეს მხატვრული მონტაჟები და ვიტრინები — მიძღვნილი საბჭოთა ხალხის დიადი გამარჯვებისადმი.

პარტიული კრების შემდეგ კომუნისტებმა შეუდგნენ სტალინური დოკუმენტების ღრმად შესწავლას. მათ შორის უფრო მომზადებულმა ამხანაგებმა საუბარი ჩაატარეს ჩვენი სამშობლოს ძალასა და უძლეველობაზე, დიდ სტალინზე, ჩვენს გამარჯვებაზე. ერთ-ერთი საუბარი ჩაატარა საბჭოთა კავშირის ოთხი ორდენის კავალერმა ზუმლუგმა ვართიანმა.

—მეგობრებო, მე ვიყავი ფრონტზე სამამულო ომის დაწყების პირველსავე დღეებიდან. როგორც მრავალი თქვენგანი,—განაცხადა ვართიანმა,—დიდად ვწუხვარ, რომ მე წილად არ მხვდა შევსულიყავი ფაშისტური ბუნაგის ცენტრში — ბერლინში, მაგრამ მე ვამაყობ იმით, რომ ჩემმა მებრძოლმა მეგობრებმა ბოლო მოუღეს ფაშისტ მხეცს. ჩვენ ახლა ვსწავლობთ ისტორიულ სტალინურ დოკუმენტებს რომლებმაც აუწყეს მთელი მსოფლიოს ხალხებს ფაშისტური გერმანიის განადგურება. ეს სტალინური დოკუმენტები ოქროს ასოებით ჩაიწერება წითელი არმიისა და საბჭოთა ხალხის ისტორიაში, რომლებმაც იხსნეს კაცობრიობა ფაშისტური საშინელებისა და დამონებისაგან.

მე წაგიკითხავთ თუ რა სთქვა ამხანაგმა სტალინმა: „დიდ მსხვერპლს, რაც ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის გავიღეთ, აურაცხელ გაჭირვებასა და ტანჯვას, რაც ჩვენმა ხალხმა ომის მსვლელობაში გადაიტანა, დაძაბულ შრომას ზურგში და ფრონტზე, რაც სამშობლოს საკურთხეველზე მივიტანეთ, — ამაოდ არ ჩაუვლია და მტერზე სრული გამარჯვებით დაგვირგვინდა"...

ჩვენ მოვიპოვეთ მსოფლიო ისტორიული გამარჯვებები. მაგრამ ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ მიღწეულით არ დავკმაყოფილდეთ. წითელი არმიისა და საბჭოთა ხალხის წინაშე დგანან კიდევ უფრო დიდი ისტორიული ამოცანები. და მე მოგიწოდებთ თქვენ, ამხანაგო მებრძოლებო, ჩემო ძვირფასო მეგობრებო, შეისწავლოთ სტალინური დოკუმენტები, ამრავლოთ საბრძოლო საქმეებით წითელი არმიის შარავანდედით მოსილი დიდება, განამტკიცეთ ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერება, კიდევ უფრო ძლიერ შეიყვარეთ ჩვენი დედა-სამშობლო.

ასეთივე საუბრები ჩაატარეს სხვა კომუნისტებმაც.

კრების შემდეგ ჩვენ სერიოზული ყურადღება დავუთმეთ თვალსაჩინო აგიტაციას. ნაწილის კლუბში გამოკრულია მხატვრულად გაფორმებული სტალინური დოკუმენტები — საპირველმაისო ბრძანება № 20, ამხანაგ სტალინის მიმართვა ხალხისადმი და ბრძანება წითელი არმიის ჯარებისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტისადმი.

ყოველივე ის, რაც გააკეთა პარტიულმა ორგანიზაციამ, მხოლოდ საქმის დასაწყისია. ჩვენს წინ სდგას კიდევ უფრო დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანები — დავიყვანოთ სტალინური დოკუმენტების აზრი და მნიშვნელობა ყველა მებრძოლამდე და ოფიცრამდე, დავრაზმოთ ისინი ამ ისტორიული დოკუმენტებიდან გამომდინარე ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის.

ნაწილის პარტორგი
უფროსი ლეიტენანტი Ი. ᲡᲢᲐᲓᲜᲘᲐᲘ.

სტალინის სურათი

მე სახლში დავბრუნდი განთიადისას, განცდილი შეგრძნებებისაგან, ბედნიერებისა და სიხარულისაგან დაღლილი.

ცოლს არ ეძინა. ვეძებთ მხოლოდ ღიმილს, რომელიც ბაგეებზე თამაშობდა ბედნიერების ღიმილი...

სუფრა გაშლილი იყო. ცოლმა აავსო სასმისები. ჩვენ გამოვცალეთ.

ქალაქს არ ეძინა. მეზობელ ოთახებში ისმოდა გამარჯვების სიმღერები. მღეროდნენ ქუჩაშიც, მღეროდა მთელი ქალაქი, მღეროდა ქვეყანა... გავხსენი ფანჯარა და ოთახი გაზაფხულის სურნელოვანი ჰაერით გაივსო. ქუჩაში მიდიოდა ახალგაზრდების ჯგუფი. ისინი მღეროდნენ, იცინოდნენ. მე ვხედავდი: ბედნიერება სუფევდა ქალაქში.

ამ დროს კარებზე დააკაკუნეს. ვინ უნდა იყოს ასე გვიან?—გავიფიქრე და მევე გამეცინა ამ კითხვაზე.—განა ახლა გვიანია? ღამე ხომ დღედ გადაიქცა და მთელს ქალაქში, მთელს ქვეყანაზე არავის სძინავს... ცოლმა გააღო კარები, შემოვიდა მოხუცი. ეს იყო მეზობელი, 80 წლის მარია ანტონის-ასული. „ანტონოვნა"—ასე ეძახიან მას ჩვენს ეზოში—ჯოხზე დაყრდნობილი შემოვიდა მხიარული, ბედნიერი. მან აკანკალებული, დამჭკნარი ხელი ჩემს მეუღლეს თავზე გადაუსვა და ალერსით რაღაც წასჩურჩულა. შემდეგ მარია ანტონოვნა გასწორდა. აღარ მოსჩანდა მისი დიდი ხნოვანების მძიმე კუზი, რომლის სიმძიმის გამო იგი წელში იყო მოხრილი. დიახ, დღეს იგი გასწორდა. სიცოცხლე, რომელიც 80 წლის მანძილზე წვეთ-წვეთობით ეცლებოდა ხელიდან, საყოველთაო-სახალხო ბედნიერების დღეს კვლავ არნახული ძალით დაუბრუნდა.

— გამარჯობა შვილებო, — სთქვა მან ნელი ხმით, მაგრამ მტკიცედ. და ეს სიტყვები ჟღერდნენ არა როგორც მისალმება, არამედ, როგორც ადამიანის მოუდმივი ბედნიერების მაუწყებელი. — გამარჯობა, — გაიმეორა მან. — მოგილოცავთ გამარჯვებას! და ჩემს ცოლს შუბლზე აკოცა. შემდეგ მობრუნდა. დიდხანს და დაჟინებით მიცქეროდა თვალებში. მე მინდოდა მასთან მივსულიყავი, მაგრამ ხელით მანიშნა ადგილზევე ვყოფილიყავი.

— დადექი, შვილო, მე თვით მოვალ შენთან. მე დღეს ბევრი ვიარე და ჯერ არ დავღლილვარ. ახალგაზრდა გავხდი. ძალა მომემატა. ეს ბედნიერების ძალაა, გამარჯვების ძალა.

მარია ანტონოვნა მოვიდა ჩემთან, მომეხვია, მკერდში ჩამიკრა და კოცნა დამიკოცნა. როცა თავი მკერდზე მივაყრდენი, მე ვიგრძენ მისი გულის სწრაფი ძგერა. შევხედე თვალებში. მათში რაღაც თავისებური ცეცხლი ენთო და ციმციმებდნენ.

— შვილო, მაჩვენე მისი სურათი. მე ვერ ვხედავ, ჩემი თვალები ბედნიერებითაა სავსე, მაჩვენე!

მე მივხვდი. მოვეხვიე მოხუცს, მივიყვანე იგი სტალინის დიდ სურათთან, რომელიც კედელზე ეკიდა. მან მოიშორა ჩემი ხელი, ჯოხი გვერდზე გადასდო და მიუახლოვდა სურათს. იგი თვალმოუშორებლად უცქეროდა სურათს. და უეცრად მუხლებზე ჩაიჩოქა, ხელები მაღლა აღაპყრო, წელში გაიმართა და გაქვავდა. ...ხელოთუქმნელი ქანდაკება... მე და ჩემმა ცოლმა ერთმანეთს შევხედეთ და დავაცქერდით მოხუცს, გვეშინოდა არ დაგვერღვია ეს საზეიმო სიჩუმე.

იგი ლოცულობდა...

როცა მარია ანტონოვნა წამოდგა და ჩვენსკენ მობრუნდა, მე მისი თვალის უპეებში ცრემლის ორი მოციმციმე წვეთი შევნიშნე. ისინი ბრწყინავდნენ როგორც მარგალიტი. ეს იყო ბედნიერების ცრემლები.

იგი მაგიდას მიუახლოვდა. ცოლმა სასმისი ღვინით აავსო და მოხუცს გაუწოდა. ანტონოვნამ სასმისი აიღო, ჩააცქერდა ცეცხლისფერ სითხეს და წელისხმით სთქვა:

— ჩემო შვილებო! იგი,—მან მიუთითა სურათზე,—ღმერთია ღმერთია. ძლიერი და დიდი ღმერთია. მან შექმნა ბედნიერება. მან თავისი ხელით ცრემლები თვალთაგან მოსწმინდა ყველა დედას... და დედები ილოცავენ, რომ მან საუკუნოდ იცოცხლოს. მასზე ლოცულობს ყველა დედა. დედის სიტყვა კი უბრალო სიტყვა როდია. დედა სიცოცხლის საწყისია, სიცოცხლის შემოქმედი. დედა ლაპარაკობს მთელი სულითა და გულით, ხოლო მისი სული და გული წმიდათა-წმიდაა. იგი დაჰბადა არა ერთმა, არამედ მილიონმა დედამ და იცოცხლებს მანამ, ვიდრე ცოცხლობს ამ ქვეყანად დედა. დედა კი უკვდავია. იგი ჰქმნის სიცოცხლეს და მუდმივად სცოცხლობს. დედას არ უყვარს სიკვდილი, მან კი სიკვდილზე გაიმარჯვა...

მარია ანტონოვნამ დაცალა სასმისი, ნელა დადო იგი მაგიდაზე. დაავიწყდა თავისი ჯოხი, კარებისაკენ გაემართა და გაალო რა იგი, მომიბრუნდა:

— შვილო, მომეცი მე მისი პატარა ფოტოსურათი.

მე ალბომიდან ამოვიღე სტალინის ფოტოსურათი და მას გავუწოდე. იგი თავისი ოთახისაკენ გაემართა.

ეს იყო 9 მაისს დილით. ეს იყო ის დილით, როცა მზე კრემლიდან უფრო ნათლად, უფრო მუქმომღიმარედ ანათებდა, ვიდრე მზე ლაჟვარდში. ეს იყო გამარჯვების დილა, ბედნიერების დილა. ჩვენ ჩუმად ვისხედით და თვითეული ჩვენთაგანი იმ წუთში ფიქრობდა ბებია მარია ანტონოვნაზე.

დილით ცოლთან ერთად მე შევედი მის ოთახში. ფართო საწოლზე, სუფთა და რბილ ქვეშაგებში ეძინა მარია ანტონოვნას. იგი სუნთქავდა მშვიდად. მის ოდნავ მკრთალ ბაგეზე ეძინა ბედნიერ ღიმილს. დამჭკნარი ხელები მკერდზე ესვენა. ხელებში დაენახე ფოტოსურათი. როცა დავაცქერდი, მე გაკვირვებით შევხედე ცოლს.

ანტონოვნას მშობლიურ მკერდზე იყო ამხანაგი სტალინის სურათი.

უფროსი ლეიტენანტი
Მ. ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲐᲜᲘ

საყოველთაო-სახალხო ზეიმი. თბილისის აბრეშუმის ფაბრიკის მუშები გამარჯვების დღეს. ფოტო ... ლომიძის.

მებრძოლებს მრავალფეროვანი და გემრიელი საჭმელი

ნაწილში, სადაც საპროდუქტო-საფურაჟო მომარაგების უფროსად ლეიტენანტი მოისაშვილია, კვების ბლოკი და პირადი შემადგენლობის საყოფაცხოვრებო მომსახურება სანიმუშოდაა დაყენებული. მოისაშვილი მზარეულებს ყოველდღიურად უტარებს ინსტრუქტაჟს, კონტროლს უწევს მათს მუშაობას, მოითხოვს, რომ გამოიჩინონ ინიციატივა, მებრძოლებს დაუმზადონ გემრიელი, მრავალფეროვანი კერძები. მზარეულმა ინწკირველმა თავი გამოიჩინა, როგორც საუკეთესო კულინარმა. იგი გემრიელ სუპს ამზადებს ცერცვისაგან, კარტოფილისა და სოიის ფქვილისაგან. ასევე გემრიელია მის მიერ დამზადებული ბოსტნეულის სუპი და ლობიოთი და ბურღულით შეკაზმული ბორში, მოხალული სიმინდის ფქვილითა და ხაჭვით შეკაზმული ანტრია, თევზის კერძები და ა. შ.

ყველა მზარეულს შეუძლია ფართოდ გამოიყენოს ამ მოწინავე კვების ბლოკის გამოცდილება და ჩვეულებრივი პროდუქტებისაგან დაამზადოს მრავალფეროვანი და გემრიელი კერძები, ყოველმხრივ გააუმჯობესოს მებრძოლთა კვება.

ზრუნვა გემრიელი და მრავალფეროვანი საჭმელის დამზადებისათვის, უზრუნველყოფა იმისა, რომ თავდაცვის სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებული ნორმების მიხედვით ხდებოდეს პროდუქტების ჩაწყობა საერთო ქვაბში, მებრძოლებისათვის სრული კერძის გაცემა არა მარტო მზარეულებისა და სამეურნეო მუშაკების მოვალეობაა, არამედ ყოველივე ეს ეკისრება ოფიცრებსაც და პირველ რიგში კი ნაწილის მეთაურს.

სამწუხაროდ, ჩვენი ფრონტის ჯარების ზოგიერთ ნაწილში ამ დიდმნიშვნელოვან საკითხს საკმარისი ყურადღება როდი ექცევა. იმ ნაწილებში, სადაც საპროდუქტო-საფურაჟო მომარაგების უფროსებად უფრ. ლეიტენანტი ქუთათელაძე და სარაევია ამ მხრივ ყველაფერი რიგზე არ არის.

ქუთათელაძე ამბობს: — კერძებს ვამზადებთ იმ პროდუქტებისაგან, რომლებსაც ვღებულობთ...

მაგალითად, საწყობიდან მიიღებენ ცერცვს, ჩაყრიან ქვაბში, მოხარშავენ და ამით საქმე დამთავრებულად მიაჩნიათ. ზედმეტია იმისი მტკიცება, რომ ასეთი „დამზადებიდან" მებრძოლები გემრიელ საჭმელს ვერ მიიღებენ. აქ განწილვის ნორმები მექანიკურად მტკიცდება, ხშირად ეს ხდება აღრიცხვა-ანგარიშის დარღვევით კიდეც.

სამეურნეო მუშაკებს დაკისრებული აქვთ საპასუხისმგებლო საქმე. მებრძოლთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების მხრივ მათ უნდა გამოიჩინონ მაქსიმალური ინიციატივა ამ საქმეში. მაგალითად, რატომ არ შეიძლება დამზადდეს ცივი კერძები — ლობიოს ვინეგრეტი, ლობიოთი და ხახვით შეკაზმული კარტოფილის სალათა, საწებლიანი მოხარშული ცერცვი და ა. შ.?

უკვე დროა მზადდებოდეს მწვანე ბორშჩიც. განსაკუთრებით ამიერკავკასიის პირობებში, სადაც დიდძალი გარეული საკვები მცენარეებია. ზარმან ფრონტის მთელ რიგ ნაწილებში კარგად მოაწყეს ამ მცენარეების კრეფა, რის მეოხებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მებრძოლთა კვების საქმე. მიმდინარე წელსაც მოწინავე სამეურნეო მუშაკებმა სერიოზულად მოჰკიდეს ხელი ამ საქმეს და კიდეც შეუდგნენ ამ მცენარეების კრეფას. ყველაზე უფრო ნოყიერი და ვიტამინების შემცველი მცენარეებია ჭინჭარი, ქარქვეტა, ჭინჭარი, გარეული ხახვი, მრავალძარღვა, მოახლოებულია ბოსტნეულ კულტურათა ფოთლების გამოყენების დროც. იგი გამოიყენება როგორც შესაკაზმი მასალა. ჭინჭარისა და მჟაუნისაგან შეიძლება დამზადდეს ლობიოს, ბრინჯის ან სხვა სუპი და სალათი.

მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დამზადდეს გემრიელი და მრავალფეროვანი კერძი. ახლა საქმე მთლიანად დამოკიდებულია სამეურნეო მუშაკებზე, მათს ინიციატივასა და გულმოდგინე მუშაობაზე.

სამეურნეო მუშაკებმა და პირადად ნაწილების მეთაურებმა ყოველდღიურად უნდა იზრუნონ მებრძოლთა კვების გაუმჯობესებისათვის, ადგილობრივად დამატებითი შესაძლებლობათა გამონახვისათვის.

საინტენდანტო სამსახურის
კაპიტანი ა. ზორენშტეინი.

ლევ ოშანინი

ს ი მ ღ ე რ ა

ხშირად სახურველ ზარათებს ველით,
ვიგონებთ ნაცნობ გოგონებს ნაზებს,
არაფერია, ჩვენ, მეომრები,
მშობელ მხარეს რომ დავცილდით ასე.

სიწყნარეს როდი ვეძებთ ბრძოლაში,
წარბს ვერ შეგვიხრის სიკვდილიც ასი.

არაფერია ესეც, ძმობილო,
ომის წლებში რომ მოვკაცდით ასე.

ნათელთვალება მეგობრებს ჩვენ
ჩვენთვის სათუთად მოქარგვენ წერილს.

არაფერია ეს განშორებაც,
უფრო ძვირფასი შეხვედრა გველის.
კვლავ აგვენთება ზეცა ლამაზი
და სიჭაბუკის ალორძინება.
არაფერია, რომ ჩვენ ომამდე
ვერ მოვახწარით დაქორწინება.

სთარგმნა ლეიტენანტმა თ. ჯანგულაშვილმა.

მოსკოვის მეტროპოლიტენის 10 წლისთავი

გაზეთ „სოვეტსკი მეტროპოლიტენის" [illegible] ნომერი მიძღვნილია მოსკოვის მეწისქვეშა გზის 10 წლისთავისადმი. ნომერში მოთავსებულია აბ. კალინინის მისალმება, რომელშიც ნათქვამია: „მე მჯერა, რომ ხანგრძლივი მშენებლობის არც ერთი მაგალითი არ სარგებლობს იმდენი პოპულარობით და სიყვარულით, როგორც მოსკოვის მეტროპოლიტენი. ყოველი კაცი — იქნება იგი მოსკოველი, თუ ჩამოსული, ხედავს და უშუალოდ გრძნობს, თუ რაოდენ დიდია ეს სიკეთე მისთვის. ამიტომ ყოველი ჩვენგანი [illegible] მადლობის უძღვნის ხალხთა მეგობრობას, როგორც მეტროპოლიტენის მშენებლობის ინიციატორსა და ხელმძღვანელს, და მეტროპოლიტენის ყველა მშენებელს, რომლებმაც იმდენი ეს დიდებული ნაგებობა, ულევი შრომა, მოაწყვეს, მას და მშენებლობაში ცოტა შრომით შეაქვს და [illegible] როდი გაიჩვენებს". დასასრულ აბ. კალინინი სწერს, რომ მეტროს ამუშავების ათი წლისთავი არის საბჭოთა სამშენებლო კულტურის დიდი დღესასწაული, ულოცავს მეტროს ყველა მუშაკს და უსურვებს მათ შემდგომ წარმატებას [illegible] მომსახურების საქმეში.

დამთავრდა თავდაცვა-ავიაქიმის XI სრულიად საკავშირო შეჯიბრება საჰაერო-ქიმიურ თავდაცვაში

შეჯამებულია საჰაერო თავდაცვაში თავდაცვა-ავიაქიმის XI სრულიად საკავშირო შეჯიბრების შედეგები. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 15 მილიონზე მეტმა კაცმა.

შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდნენ და პირველი ადგილები დაიკავეს საქართველოს სსრ რესპუბლიკის, ყირიმის ასს რესპუბლიკის, პრიმორიეს მხარის, კალინინის ოლქის თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებმა. ქალაქებს შორის პირველი ადგილი დაიკავა მოსკოვის ორგანიზაციამ.

თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალურმა საბჭომ გამარჯვებულებს გარდამავალი წითელი დროშები მიაკუთვნა და ფულადი პრემიები მისცა.

შეჯიბრებაში ნიხებული მაჩვენებლებისათვის ნიშნით „აქტიური თავდაცვითი მუშაობისათვის" დაჯილდოებულია 26 კაცი, თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს სიგელით—21 კაცი, ფულადი პრემიით—20 კაცი. (საქინფორმი).

ა ხ ა ლ ი კ რ ე ბ უ ლ ი

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა „მოლოდაია გვარდიამ" გამოსცა ამიერკავკასიის რესპუბლიკების—საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის პოეტების ლექსთა კრებული — „მრისხანება და სიყვარული".

კრებულში მოძმე რესპუბლიკის პოეტების ლექსებთან ერთად შეტანილია გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანის, ალექსანდრე აბაშელის, კარლო კალაძის, ირაკლი აბაშიძის, შალვა აფხაიძის, სევერიან ისიანის, იოსებ ნონეშვილის, ალეკო შენგელიას, რევაზ მარგიანის, მარიკა მიქელაძის და თეიმურაზ ჯანგულაშვილის ლექსები.

ოცეული იგერიებს „მოწინააღმდეგის" იერიშს

გამარჯვების საყოველთაო-სახალხო ზეიმის ამ ისტორიულ დღეებში უფროს ლეიტენანტ იურინსკის ასეულის მებრძოლები კიდევ უფრო მეტი ენტუზიაზმითა და ძალ-ღონის დაძაბვით ეუფლებიან საბრძოლო ოსტატობას. სიხარულის კეთილშობილური და დიადი გრძნობებით აღსავსენი მიისწრაფვიან, რომ გახდნენ სამაგალითო მებრძოლები, საუკეთესოდ შეასრულონ ამოცანა.

მებრძოლები საბრძოლო სროლებისათვის ემზადებოდნენ. ველად გასვლამდე ასეულის მეთაურმა სთქვა:

— ჩვენ შემდეგშიაც არ უნდა შევანელოთ საბრძოლო მომზადება, დიდი სამამულო ომის გამოცდილების შესწავლა. შევისწავლოთ სამხედრო საქმე ჩვენი სახელოვანი ფრონტელებისაგან, რომლებმაც ბერლინში გამარჯვების დროშა აღმართეს და დაამხეს ფაშისტური გერმანია.

ადრე დილით ოცეულები ველად გავიდნენ. ეს იყო დასერილი ადგილმდებარეობა, სადაც წინასწარ იყო მომზადებული პოზიციები თანამედროვე თავდაცვის ყველა წესის მიხედვით. სხვადასხვა ადგილზე განლაგებული იყო სამიზნოები, რომლებიც გამოხატავდნენ „მოწინააღმდეგის" შეტევ ქვეითების საბრძოლო რიგს. თავდაცვის წინა კიდეზე გადიოდა ხევი, რომლის გასწვრივ ქროდა ძლიერი გვერდითი ქარი. ეს მებრძოლებისაგან მოითხოვდა მიზნის ზუსტად დაზიანებას, ისე, რომ გაეთვალისწინებინათ გვერდითი ქარი და გადაეტანათ დამიზნების წერტილი.

ტაქტიკური მეცადინეობა ტარდებოდა საბრძოლო სროლებით. ასეულის მეთაურმა იურინსკიმ თვითეულ ოცეულს დაუსახა ამოცანა—მოეგერიებიათ „მოწინააღმდეგის" იერიში და გამაგრებულიყვნენ დაკავებული ზღუდეზე. მანვე აჩვენა გამოსათოფი ზოლი და დამატებითი მიმართულებანი მეზობელი ქვეგანაყოფების ფრონტის წინ მდებარე უახლოეს ზოლში მისადგომების გამოთოფვისათვის. ოცეულები გაძლიერებული იყვნენ ტყვიამფრქვევებით, ტანკსაწინააღმდეგო თოფებით, ნაღმტყორცნელთა გუნდებით და მეავტომატეებით. ოცეულების მეთაურებს უნდა მოეწყოთ თავიანთი და გამაძლიერებელი საშუალებების უნარიანი ურთიერთმოქმედება და ცეცხლის ზუსტი მართვა.

შენიღბვის წესების დაცვით საცეცხლე პოზიციაზე პირველი გავიდა უმცროს ლეიტენანტ შვაინიკოვის ოცეული. მებრძოლებმა დაიკავეს მიხვეულ-მოხვეული ტრანშეა და მოემზადნენ ცეცხლის ლასაშენად.

მეთვალთვალეები თვალნათლივ ხედავდნენ წინა მდებარე ადგილმდებარეობის თვითეულ ნაოჭს და შემჩნეულის შესახებ მეთაურს მოახსენებდნენ ხოლმე. რიგითმა მებრძოლმა განგაევმ პირველად აღმოაჩინა „მოწინააღმდეგის" მეთვალთვალე, რომელიც მოთავსებული იყო მაღლობზე 400 მეტრის დაცილებით. სნაიპერმა სოკოლოვსკიმ პირველივე გასროლით დააზიანა მიზანი.

შემდეგ, სხვადასხვა ადგილზე და მანძილზე სულ უფრო და უფრო მეტი სამიზნოები გამოჩნდებოდნენ ხოლმე. „მოწინააღმდეგე" შეტევაზე გადმოვიდა. განგაია სწრაფად მოუძებნიდა მიზნებს და მათ შესახებ ოცეულის მეთაურს ზუსტად მოახსენებდა ხოლმე. მეთვალთვალე განგაევა, რომელიც მებრძოლის სპეციალურ მოვალეობას ასრულებდა, როგორც ზუსტი მსროლელი აუცდენლად ესროდა მიზნებს. მან ზუსტი სროლით დააზიანა სამიზნოები, რომლებიც გამოხატავდნენ „მოწინააღმდეგის" ხელის ტყვიამფრქვევსა და ოფიცერს.

როდესაც „მოწინააღმდეგე" იერიშზე გადმოვიდა, ოცეულის ცეცხლი კიდევ უფრო გაძლიერებულ იქნა. მსროლელების ზალპური ცეცხლი, გამაძლიერებელ საშუალებებთან თანამოქმედებით ძალზე ეფექტიური იყო. 70 მიზნიდან დაზიანებულ იქნა 41, გასროლილ 200 ვაზნისაგან 115 ნახვრეტი იყო.

„მოწინააღმდეგის" იერიში წარმატებით იქნა მოგერიებული.

შვაინიკოვის ოცეულმა ფრიადი შეფასება მიიღო.

უნდა აღინიშნოს, რომ მებრძოლთა უმეტესობა ისროდა ფრიადზე და კარგზე. ზუსტად ისროდნენ უფროს სერჟანტ სმოლიანის მეტყვიამფრქვევეები და სერჟანტ კარიანის ტანკსაწინააღმდეგო თოფის გუნდი, რომელმაც დააზიანა „მოწინააღმდეგის" ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზანი და ტანკი.

კარგად ისროდა აგრეთვე უმცროს ლეიტენანტ ერემენკოს ოცეული, რომელმაც დააზიანა 47 მიზანი, მაგრამ ამ ოცეულს არ ჰქონდა ისეთი მაჩვენებელი, როგორც შვაინკოვის ოცეულს, ვერ დააზიანა ყველა მნიშვნელოვანი მიზანი, როგორც მაგალითად, — მეთვალთვალე, ხელის მეტყვიამფრქვევე. ეს აიხსნება იმით, რომ ოფიცერი ერემენკო არასაკმაო უნარიანად მართავდა ცეცხლს, არ აჩვენებდა, თუ პირველ რიგში რომელი მიზნის დაზიანება იყო საჭირო.

ასეთივე ნაკლი ჰქონდა ოცეულის მეთაურ კოტენევსაც. მისმა ქვეგანაყოფმა დააზიანა 34 მიზანი ე. ი. ნახევარზე ნაკლები. გარდა ამისა, კოტენევი უფრო ინტენსიურ სროლას აწარმოებდა „მოწინააღმდეგესადმი" შორეულ მისადგომებზე, ხოლო იერიშის მოგერიების პერიოდში მას ვაზნები უკვე გაუთავდა. ამის შედეგად ცეცხლი სუსტი იყო.

არასაკმაო მოხერხებით ისროდნენ ლეიტენანტი ტიმინის მეავტომატეები. რიგით მებრძოლს დმიტრიევს იერიშის გაცხარებულ მოგერიების პერიოდში ავტომატმა უღალატა — საკეტებელი გაუჩერდა [illegible]. დმიტრიევმა ვერ შესძლო სწრაფად ეცილებინა შეფერხება, რადგანაც თავისი იარაღი კარგად არ ჰქონდა შესწავლილი. აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ მატერიალური ნაწილისა და სროლის დროს შეფერხების სწრაფად აცილების შესწავლას დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს.

უფროსი ლეიტენანტი
ი. კიდანოვი

საბჭოთა კავშირის გმირი ვიქტორ ლესელიძის უკანასკნელი ბრძოლა

ამ დღეებში ნაწილიდან მივიღეთ წერილი, რომელშიც აღწერილია ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის საბჭოთა კავშირის გმირის პოდპოლკოვნიკ ვიქტორ ნიკოლოზის-ძე ლესელიძის უკანასკნელი ბრძოლა.

ეს იყო 1944 წლის 28 ივნისს, — ნათქვამია წერილში, — დილის 6 საათიდან გაჩაღდა ცხარე ბრძოლა ფინელებთან სოფელ ილლიესისათვის, მდინარე ვიდლიცაზე გადასასვლელისათვის.

ჩვენი პოლკი თავისი ნაღმსატყორცნებით ცეცხლით ხელს უწყობდა მსროლელთა პოლკს. ლესელიძე თავის მზვერავთა ჯგუფთან ერთად წავიდა წინ დასაზვერავად და თავისი ბატარეებისათვის საცეცხლე პოზიციების ასარჩევად.

მზვერავები ლესელიძის მეთაურობით გადავიდნენ ტივით მდინარე ვიდლიცაზე. მდინარის მაღლობიდან მათ შეხვდათ ჩვენი ქვეითების ძალები, რომელმაც ვიდლიცის გაღმა დაეკავებინა პლაცდარმი და ახლა იბრძოდა მისი გაფართოებისათვის. ამ ძალების წინააღმდეგ ფინელებს ხიდიზე მოჰქონდათ იერიში და ცდილობდნენ მის გადაგდებას მდინარეში.

პოდპოლკოვნიკმა ლესელიძემ მაშინვე შეამჩნია, რა საფრთხე ემუქრებოდა ჩვენს მამაც მებრძოლებს მტრის ჭარბი ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში. მას ერთი წუთიც არ დაუყოვნებია და შეძახილით „სამშობლოსათვის, სტალინისათვის!" თავისი მზვერავებით ეკვეთა მტერს. ამ იერიშის შედეგად ფაშისტები უკუაგდეს დიდი ზარალით, რამდენიმე ხნის შემდეგ მტერი მეორედ გადმოვიდა კონტრიერიშზე. პოდპოლკოვნიკი ლესელიძე ახლა მთელ ჯგუფს ჩაუდგა სათავეში და ფიცხელი იერიშით გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა მტერს. ორ ასეულამდე ჰიტლერელი გაჟლეტილ და დატყვევებულ იქნა.

მდინარე ვიდლიცასთან ამ გაფართოებულ ბრძოლაში გმირთა სიკვდილით დაეცა მამაცი საბჭოთა ოფიცერი ვიქტორ ლესელიძე.

ჩვენი პოლკის მეთაური პოდპოლკოვნიკი ვიქტორ ლესელიძე დასაფლავებულია კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის ოლონეცის რაიონის სოფელ ილლიესში მდინარე ვიდლიცის პირას, საბჭოთა სამშობლოსათვის ბრძოლებში დაღუპულ ძმათა სასაფლაოს გვერდით. მის საფლავზე დადგმულია ძეგლი წარწერით: „აქ დასაფლავებულია პოდპოლკოვნიკი ვიქტორ ნიკოლოზის-ძე ლესელიძე, რომელიც დაეცა საბჭოთა სამშობლოსათვის ბრძოლაში 1944 წლის 28 ივნისს. სამარადისო დიდება დიდი სამამულო ომის გმირს!"

საბჭოთა სამშობლომ დააფასა ვიქტორ ლესელიძის მამაცობა და გმირობა და მიანიჭა მას საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

იმ პოლკის პირადი შემადგენლობა, რომელსაც პოდპოლკოვნიკი ლესელიძე მეთაურობდა, პატივს სცემს მის, როგორც სახელოვანი და გულადი მეთაურის, ხსოვნას, იგი იყო ჩვენი პოლკის შემქმნელი და აღმზრდელი და მან მთელი შრომა და სამხედრო ოსტატობა მოახმარა პირადი შემადგენლობის აღზრდას და მის საბრძოლო ხელმძღვანელობას. უწარჩინებული მოქმედებისათვის ჩვენს პოლკს „სვირის" სახელწოდება მიენიჭა.

ჩვენ ღირსეულად ვინახავთ და ვასრულებთ იმ საბრძოლო ტრადიციებს, რომლებსაც ჩვენს პოლკში სათავე ჩაუყარა პოდპოლკოვნიკმა ლესელიძემ. მის მიერ აღზრდილი ასობით მებრძოლი, სერჟანტი და ოფიცერი თავიანთ საბრძოლო მამაცობას[illegible] ... და შედეგებით.

პოლკის პირადი შემადგენლობა ღრმა მადლობას უძღვნის ქართველ ხალხს, რომელმაც აღზარდა წითელი არმიის ასეთი ნიჭიერი, გაბედული და მამაცი მეთაური.

პოდპოლკოვნიკი კრივოშეი



წითელი არმიის დარტყმების შედეგად ოდესიდან უკანდახეულმა ფაშისტმა დამპყრობლებმა თითქმის მთლიანად დაანგრიეს ნავსადგური. წლის განმავლობაში ოდესის ნავსადგური ნაწილობრივ აღდგენილ იქნა, მის ნავსაშენებს უკვე მიადგებიან ხოლმე ოკეანის ხომალდები. ნავსადგურში ამჟამად გაჩაღებულია აღდგენითი სამუშაოები. სურათზე: მძლავრი 16-ტონიანი ამწეს მონტაჟი. მუშაობს ამხ. ოგოლცოვის ბრიგადა, რომელიც ნორმებს 150 პროცენტით ასრულებს.

საზღვარგარეთ

ალფრედ როზენბერგის დაპატიმრება

ლონდონი, 19 მაისი. (საკდესი). როგორც ლონდონის რადიო იუწყება, ალფრედ როზენბერგი მოკავშირეთა ხელშია. გუშინ ეს ცნობილი ჰიტლერელი მეთაური ამერიკელმა ხელისუფლებამ იპოვა ფლენსბურგის ერთ-ერთ საავადმყოფოში; იგი დააპატიმრეს და საპყრობილეში მოათავსეს.

ამერიკელი კორესპონდენტი გერმანელთა ნაძარცვის მოძებნის შესახებ

ნიუ-იორკი, 19 მაისი. (საკდესი). გაზეთ „ვოლდ-ტელეგრამ ენდ სენის" პარიზელი კორესპონდენტი იუწყება, რომ მოკავშირეთა მრავალი სამხედრო და სამოქალაქო ექსპერტი ამჟამად იკვლევს გერმანიის კარტელების საერთაშორისო კავშირურთიერთობას, ფრანკფურტში კონცერნ „ი. გ. ფარბენინდუსტრიის" გამგეობაში იპოვეს 200-მდე ტონა დოკუმენტი, მათ შორის „ი. გ. ფარბენინდუსტრიის" საერთაშორისო შეთანხმებათა ტექსტები. ჰეგრს სხვა ადგილას მოკავშირეებმა იპოვეს გადამალული დოკუმენტები, რომლებიც ამჟღავნებენ მსხვილი გერმანელი ფირმების კავშირს ნაციონალ-პარტიასთან.

მოკავშირეებმა იპოვეს აგრეთვე გერმანელთა მიერ ნაძარცვი და გადამალული ძვირფასეულობანი, ოქრო და ფული. ერთ-ერთ ბანკში ნაპოვნია 35 ტონამდე ოქროს ფული, რაც, როგორც ჩანს, ჰიმლერისთვის ინახებოდა.

ომი წყნარ ოკეანეში

ვაშინგტონი, 19 მაისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების წყნარი ოკეანის ფლოტის შტაბი იუწყება, რომ 19 მაისს ამერიკის „მფრინავი ციხის" მარკის 300-ზე მეტი ზემძლავრი ბომბდამშენი ავიამზიდებიდან(?) აფრენილთა თანხლებით თავს დაესხა ხამამაცუ—დიდმნიშვნელოვან სამრეწველო ქალაქს ხონსიუს კუნძულზე.

ვაშინგტონი, 19 მაისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტრო იუწყება, რომ 19 მაისს ამერიკის „მფრინავი ციხის" მარკის ზემძლავრი ბომბდამშენთა ერთად დიდმა შენაერთებმა დაბომბეს სამრეწველო ობიექტები ტოკიოს დასავლეთ მიდამოების რაიონში.

ანტიფაშისტების მძიმე მდგომარეობა ესპანეთის საკონცენტრაციო ბანაკებში

ნიუ-იორკი, 15 მაისი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო გადმოსცემს, პატიმართა დახმარების უცხოური ორგანიზაციის წევრი, ესპანეთის საკონცენტრაციო ბანაკების შემოწმების შემდეგ, იუწყება, რომ იქ იმყოფება ზრავალი დაპატიმრებული ანტიფაშისტი, მათ შორის პოლონელები, ავსტრიელები, ფრანგები, იტალიელები და სხვ. მისი სიტყვით, ბანაკებში ცხოვრების პირობები საშინელია, ცნობილ ბანაკ ლაოკაში პროფაშისტი ესპანელი მცველები სასიკვდილოდ სცემენ პატიმრებს. ფრანკოს მთავრობის იუსტიციის მინისტრმა აუწყმა განაცხადა, რომ მის გამგებლობაში 18 ათასი პოლიტიკური პატიმარი იმყოფება. დანარჩენები კვლავ ფალანგის სპეციალური კომისიის, შინაგან საქმეთა სამინისტროს და სამხედრო პოლიციის გამგებლობაში იმყოფებიან.

სააგენტოს ცნობით ესპანეთში განაგრძობენ ანტიფაშისტების სიკვდილით დასჯას.

კროსი ნაღმატყორცნებით ჩატარდა

წითელი არმიის ძლევამოსილი გამარჯვებით აღფრთოვანებული ჩვენი ნაწილის პირადი შემადგენლობა კიდევ უფრო დაუღალავად იბრძვის თავისი საბრძოლო ოსტატობის სრულყოფისათვის.

ამას წინათ ნაწილში ჩატარდა კროსი. მოცემული მანძილი შეადგენდა ხუთ კილომეტრს. დილით ადრე ასეულებმა დაიკავეს გამოსასვლელი ხაზები. სიგნალზე მებრძოლები ელვის სისწრაფით მოსწყდნენ ადგილიდან და ფინიშისაკენ გაემართნენ. ფინიშთან პირველი მივიდა ლეიტენანტ ჯაფარიძის ოცეული, რომელმაც მანძილი 21 წუთში დაჰფარა. მეორე ადგილი დაიკავა ლეიტენანტ გულიას ასეულმა. იგი ფინიშთან 25 წუთის შემდეგ მივიდა. მესამე ადგილი წილად ხვდა უფროს ლეიტენანტ ჯანაშიას ასეულს, რომელმაც აღნიშნულ მანძილს 27 წუთი მოანდომა.

კროსზე საუკეთესო მაჩვენებლები მიიღოვეს აგრეთვე მზვერავი ოცეულის მებრძოლებმა.

აჯ. ლუხუტაშვილი
წითელარმიელი

სამეცნიერო-საგანმანათლებლო თემაზე

რას წარმოადგენს ცა

დღისით მოწმენდილი ცის ლურჯი კამარა დედამიწაზე დაყრდნობილი გვეჩვენება, ღამით იგი მუქ-შავ ფერს ღებულობს და მასზე უთვალავი მნათი წერტილები — ვარსკვლავები ჩნდებიან. ასეთმა სანახაობამ ძველი დროის ადამიანებს შეუქმნა წარმოდგენა ბრტყელ დედამიწაზე დაყრდნობილი მაგარი ბროლისებური ცის სფეროს არსებობის შესახებ.

როცა გამოირკვა, რომ დედამიწა არაა ბრტყელი, არამედ ბურთისებურია, წარმოდგენა მაგარი ბროლისებური ცის სფეროს არსებობის შესახებ მაინც უცვლელი დარჩა. მაგალითად საშუალო საუკუნეების უდიდესი პოეტი დანტე თავის „ღვთაებრივ კომედიაში" მოგვითხრობს, რომ ბურთისებური დედამიწის გარშემო მოძრაობს ათი ბროლისებური სფერო, რომლებზედაც მიმაგრებული არიან ცის სხვადასხვა მნათობები. ცის სფეროებს აბრუნებენ უმაღლესი ანგელოზები—სერაფიმები და ქერუბიმები. სფეროებს იქით, დანტეს აზრით, არის ნეტარი სამყოფელი, სამოთხის სოფლები.

XVI საუკუნიდან ასტრონომიამ სწრაფად იწყო განვითარება. უკანასკნელი 400 წლის განმავლობაში კაცობრიობის მოწინავე ნაწილმა დააგროვა უამრავი მასალა—ცოდნა ცის შესახებ. გამოირკვა, რომ წარმოდგენა მაგარი ბროლისებური ცის სფეროს არსებობის შესახებ მცდარია.

ცნობილმა ინგლისელმა ფიზიკოსმა რელეიმ 1873 წელს დაამტკიცა, რომ ცის კამარა ლურჯი გვეჩვენება იმის გამო, რომ ატმოსფერო (ჰაერი), რომელიც დედამიწას გარს აკრავს, არეკლავს და ფანტავს მზის სხივების ნაწილს.

მზის სხივები შედგება სხვადასხვა ფერადი სინათლის სხივების ნარევისაგან, რომელთაგან ძირითადად არჩევენ შვიდ ფერს: წითელს, ნარინჯისფერს, ყვითელს, მწვანეს, მტრედისფერს, ლურჯსა და იისფერს. ამ ფერად სინათლეთა ერთობლიობა იწვევს თეთრი სინათლის შეგრძნებას.

ჰაერი შედგება უამრავი წვრილი ნაწილაკებისაგან, რომლებსაც ატომებს უწოდებენ. ატომები უხილავი არიან. ისინი ერთმანეთთან ახლოს იმყოფებიან, მაგრამ მაინც რჩება მათ შორის ცარიელი ადგილი. როცა მზის სხივები ჰაერში მოდის, მათი ნაწილი გაიძვრება ატომებს შორის და უვნებლად აღწევს ჩვენამდე. დიდი უმრავლესობა მზის სხივებისა ეჯახება ჰაერის ატომებს, რომლებიც იისფერ, ლურჯ და მტრედისფერ სხივებს მიმართულებას უცვლიან და სივრცეში ფანტავენ; მწვანე სხივების გაფანტვა ჰაერის ატომებს უძნელდება, ხოლო ყვითელი, ნარინჯისფერი და განსაკუთრებით კი წითელი სხივების გაფანტვა არ ძალუძს.

ჰაერში გაფანტული იისფერი, ლურჯი და მტრედისფერი სხივები აძლევენ ცას ლურჯ ფერს. რამდენიმე კილომეტრის სიმაღლეზე, სადაც ჰაერი უფრო თხელია, ცა ჰკარგავს ლურჯ ფერს და ღებულობს მუქ-შავ ფერს. დედამიწას ატმოსფერო რომ არ ჰქონოდა, მაშინ ცა მუდამ მუქი-შავი ფერის იქნებოდა, მზე შედარებით უფრო თეთრად მოგვეჩვენებოდა.

ამრიგად, დღისით მოწმენდილი ცის ლურჯი კამარა დედამიწის გარშემო არსებული ატმოსფეროა, რომელიც განათებულია მზით.

დედამიწის ატმოსფერო ღამითაც არსებობს, მაგრამ არ მოჩანს, რადგანაც მას მზე არ ანათებს. ის უამრავი ვარსკვლავი, რომლებითაც მოჭედილია ცა, წარმოადგენს შორეულ მნათ სხეულებს.

ახლა მეცნიერების მიერ ზუსტად არის დადგენილი, რომ ჩვენს ზემოთ არავითარი მყარი ბროლისებური ცის სფეროები არ არსებობს. დანტეს მიერ აღწერილი ცის სფეროები და სამოთხის სოფლები, მხოლოდ ძველი დროის ხალხის ფანტაზიაა. სინამდვილეში არსებობს მხოლოდ ბურთისებური, პოლუსებზე ოდნავ შეწეული დედამიწა, რომელსაც გარს აკრავს ატმოსფერო და მას იქით კი უჰაერო სივრცეა. შორს სხვადასხვა მანძილზე და სხვადასხვა მიმართულებით იმყოფებიან სხვადასხვა სხეულები, რომლებიც მოჩანან ცის მნათობების სახით.

ა. ფურცხვანიძე

პ/მგ. რედაქტორი ი. ლავრუხინი
პ/მგ. რედაქტორის მოადგილე
ვ. დარასელი

გ—115448
რედაქციის მისამართი: ПОЛЕВАЯ ПОЧТА 33175-Г